პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 25 მაისი, 1943 წ. № 113 (6738). ფასი 20 კაპ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობით საკოლმეურნეო სოფელში შესანიშნავი კადრები აღიზარდნენ. ლენინ-სტალინის პარტიისადმი ერთგული საკოლმეურნეო კადრები ყოველმხრივ ხელს უწყობენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განმტკიცებას. კადრები, — გვასწავლის დიდი **სტალინი**, — სწყვეტენ ყველაფერს. ფრიად სერიოზული და პასუხსაგები მოვალეობა აქვს დაკისრებული კოლმეურნეობის გამგეობას, მის თავმჯდომარეს. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურ წესდებაში მოცემულია კოლმეურნეობის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების ძირითადი კანონია და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოეთხოვება ბოლშევიკური შეუპოვრობით იბრძოლოს მისი განუხრელად განხორციელებისათვის.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფელში გამოიზარდა მოწინავე კოლმეურნეობათა მრავალი თავმჯდომარე. ბევრი მათგანი ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულია უმაღლესი ჯილდოთი. რამდენიმე წელია მახარაძის რაიონის სოფ. ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს ამხ. ვ. ჯაბუა. ის საზოგადოებრივი მეურნეობის ნამდვილი ორგანიზატორია. კოლმეურნეობა წლითი-წლობით გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო გეგმებს, პირნათლად იხდის თავის მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე და მზარდ დახმარებას უწევს ჩვენს გმირ წითელ არმიას. შარშან ამ კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა ორნახევარ მილიონს გადააჭარბა. თითოეულ შრომადღეზე განაწილდა 3 კილოგრამი მარცვალი და 8 მანეთი. საუკეთესოდ მუშაობს ამავე რაიონის სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობა, რომლის ხელმძღვანელია ამხ. მ. ორაგველიძე. ამ კოლმეურნეობაში არ მოიპოვება ისეთი შრომისუნარიანი წევრი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას არ იღებდეს საკოლმეურნეო შრომაში. კარგად უძღვება საკოლმეურნეო საქმეებს გალის რაიონის სოფ. ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ჯგუბურია. ეს კოლმეურნეობა ოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგად ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება და უდიდეს დახმარებას უწევს ფრონტს. კარგად მუშაობს გორის რაიონის სოფ. სვენეთის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავის“ თავმჯდომარე ამხ. სტ. ბაღდოშვილი. სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის მილიონერმა კოლმეურნეობამ შარშან თითოეულ შრომადღეზე გაანაწილა 5,4 კილოგრამი მარცვლეული, სხვა პროდუქტები და 15 მანეთი. ამ კოლმეურნეობაში მაღალია შრომის დისციპლინა. ეს იმითაც აიხსნება, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. თ. ტარყაშვილი თავის მოწოდების სიმაღლეზე დგას. კარგად მუშაობენ ავრეთვე ქუთაისის რაიონის სოფ. გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლის“ თავმჯდომარე ამხ. ი. ფესტვენიძე, ლაგოდეხის რაიონის სოფ. შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. ნატროშვილი. მსგავსი მაგალითები ბევრია.

მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა და მისი თავმჯდომარე როდი იღებს ყველა საჭირო ზომებს კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და საკოლმეურნეო ქონების დაცვისათვის. სუსტი ხელმძღვანელობითა და კონტროლით სარგებლობენ წამგლეჯები და ანიავებენ საკოლმეურნეო ქონებას. მცხეთის რაიონის სოფ. როზენტალის როზა ლუქსემბურგის სახელობის კოლმეურნეობაში წელს ადგილი ჰქონდა საზოგადოებრივი საკოლმეურნეო ქონების განიავებას კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. შახნაზაროვის და სხვათა დაუდევრობით. კასპის რაიონის სოფ. ლომისყანის კოლმეურნეობა წლითი-წლობით ვერ ასრულებდა საწარმოო გეგმებს. დაბალი იყო შრომის დისციპლინა. აქ ადგილი ჰქონდა საკოლმეურნეო ქონების განიავების ფაქტებს. თეთრი წყაროს რაიონის სოფ. დაღეთ-ხაჩინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში გამგეობის ყოფილ თავმჯდომარის ე. მირზოევის და ახლანდელი თავმჯდომარის გ. პოღოსიანის უპასუხისმგებლობისა და უდარდელობის შედეგად წელს კოლმეურნეობაში საქონლის დახოცვას ჰქონდა ადგილი, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

დიდმა სამამულო ომმა სერიოზული მოთხოვნები წაუყენა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს. მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები უნდა მივცეთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას. აი ასეთი საბრძოლო მოვალეობა აკისრიათ კოლმეურნეობებს, კოლმეურნეობათა გამგეობებსა და მათს თავმჯდომარეებს და ისინი ვალდებული არიან ყველაფერი გააკეთონ მაღალი სამხედრო მოსავლის მიღებისა, მეცხოველეობის შემდგომი განმტკიცებისა და საარტელო მეურნეობის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

ის კოლმეურნეობის თავმჯდომარეა თავის მოწოდების სიმაღლეზე, რომელიც მაღლა აყენებს სახელმწიფო ინტერესებს, მტკიცედ იცავს საკოლმეურნეო ქონებას, სასტიკ ბრძოლას უცხადებს შრომის დისციპლინის დამრღვევებს. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მოეთხოვება ადამიანთა ყოველმხრივი შესწავლა, მათი გონივრული განაწილება, რომ მთლიანად გამოიყენოს კოლმეურნეობის საწარმოო შესაძლებლობანი, რეზერვები.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია საწარმოო გეგმების განაღდებისა და სახელმწიფო ვალდებულებათა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ის თვალსაჩინივით უნდა გაუფრთხილდეს საკოლმეურნეო ქონებას, იბრძოლოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის და კარგი მეურნის ხელით წარმართოს კოლმეურნეობის სახსრების ხარჯვა-გამოყენება. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა წარმატებით უნდა შეასრულონ პარტიისა და მთავრობის დავალებანი და აქტიურად იბრძოლონ 1943 წლისათვის სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის.

კოლმეურნრბათა თავმჯდომარეებს მოეთხოვებათ ყოველმხრივ გააძლიერონ ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის ხელვხენა იმაში მდგომარეობს, რომ სწორად გამოიყენონ ძალები, არ დაუშვან ჩამორჩენა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შესრულებაში და იბრძოლონ მოსავლიანობის შემდგომი გადიდებისათვის.

პარტიის რაიონული კომიტეტები, რაისაბჭოების აღმასკომები, მტს-ების პოლიტგანყოფილებები და მიწგანები მოვალენი არიან მთელი სერიოზულობით მოეკიდონ საკოლმეურნეო კადრების აღზრდას, დაეხმარონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, განსაკუთრებით ახლადდაწინაურებულ მუშაკებს, რათა ისინი ყოველმხრივ დაეუფლონ კოლმეურნეობის ეკონომიკას.

ამხანაგმა **სტალინმა** საპირველმაისო ბრძანებაში მოუწოდა მშრომელებს გაორკეცებული ენერგიით იმუშაონ ფრონტისათვის. კოლმეურნეებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა და მისმა თავმჯდომარეებმა უნდა უზრუნველჰყონ შრომის ნაყოფიერების შემდგომი გაღიდება, უხვი სამხედრო მოსავლის მიღება და დისციპლინის შემდგომი განმტკიცება კოლმეურნეობებში. ეს იქნება მძლავრი დახმარება ფრონტისადმი.

საქართველოს სსრ მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აკაკი სამსონის-ძე მაღაზონიას

მადლობა მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს და პირადად თქვენ, აკაკი სამსონის-ძევ, წითელი არმიის ჯავშანსატანკო ძალებზე და ჩვენი თავდაცვითი სამრეწველო საწარმოების მუშებზე ზრუნვისათვის.

მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

წითელწყაროს რაიონის სოფელი ქვემო ქედი. კიროვის სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ივანე ალექსის-ძე ქავთარაძეს

მადლობა კიროვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს და პირადად თქვენ, ივანე ალექსის-ძევ, წითელ არმიაზე ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

წითელწყაროს რაიონის სოფელი უზუნდარა. ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობა. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ივანე იოსების-ძე ფიროსმანაშვილს

მადლობა ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს და პირადად თქვენ, ივანე იოსების-ძევ, წითელ არმიაზე ზრუნვისათვის. მიიღეთ ჩემი სალამი და წითელი არმიის მადლობა.

ი. სტალინი

სადილი სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგ ი. ბ. სტალინთან ბ-ნ ჯოზეფ ე. დევისის პატივსაცემად

23 მაისს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ი. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ბ-ნ ჯოზეფ ე. დევისის პატივსაცემად.

სადილს ესწრებოდნენ ბ-ნი ჯოზეფ ე. დევისი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. სტენდლი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კერი, გენერალ-ლეიტენანტი გ. მარტელი, გენერალ-მაიორი დ. ბერნსი, ბრიგადის გენერალი ფ. ფეიმონვილი, ბრიგადის გენერალი დ. მიკელა, კონტრ-ადმირალი დ. დუნკანი, კონტრ-ადმირალი დ. ფიშერი და ამერიკისა და ბრიტანეთის საელჩოთა სხვა წევრები, ავრეთვე ამერიკისა და ბრიტანეთის სამხედრო მისიათა წევრები.

საბჭოთა მხრივ ესწრებოდნენ ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, მარშალი კ. ე. ვოროშილოვი, მ. მ. ლიტვინოვი და მთავრობის სხვა წევრები და წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლები.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

23 მაისის ღილის ცნობა

22 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე ჩვენმა მზვერავებმა გადალახეს მოწინააღმდეგის მავთულღობურები, ნაღმიანი ველები და დაიკავეს გერმანელთა სანგრების პირველი ხაზები. გაჩაღდა ბრძოლა, რომელშიც გაელიტელია 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპობილია 14 ტყვიამფრქვევი და 2 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი. საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულების შემდეგ ჩვენი მებრძოლები თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

კალინინის ფრონტზე 6 ნაწილის არტილერისტებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე. მოსპობილია 4 საზიდარი ტვირთიანად, 7 ავტომანქანა, დანგრეულია 3 ბლინდაჟი და გაელიტილია ჰიტლერელთა ერთ ოცეულამდე ჯარი.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენი ქვეგანაყოფები იგერიებდნენ ჰიტლერელთა იერიშებს, რომელნიც ცდილობდნენ დაებრუნებინათ მათ მიერ დაკარგული პოზიციები. თოფ-ტყვიამფრქვეოსა და ნაღმსატყორცნის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 4 ავიაგამანადგურებელი. გარდა ამისა, გერმანელთა ერთი თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა ტანკსაწინააღმდეგო თოფების ცეცხლით.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით საარტილერიო ბატარეამ კაპიტან ლეიდერმანის მეთაურობით დაანგრია მტრის 7 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და ბლინდაჟი, 2 საათვალთვალო პუნქტი და ააფეთქა მოწინააღმდეგის საწყობი საომარ მასალიანად.

* * *

ლენინგრადის ფრონტის ერთ უბანზე ჰიტლერელთა ორმა ასეულმა ქვეითმა ჯარმა ოთხი ტანკის თანხლებით სცადა იერიში მოეტანა ჩვენს პოზიციებზე. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების მასირებული ცეცხლით შოწინააღმდეგე გაფანტულ იქნა. ჰიტლერელებმა ბრძოლის ველზე 50-ზე მეტი თავიანთი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი დასტოვეს და უკან დაიხიეს.

ბალტიის წითელდროშოვანი ფლოტის მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 6 თვითმფრინავი.

* * *

ტარნოპოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა რკინიგზის სადგურს. სადგურის შეიარაღებულ გერმანელ მცველ რაზმთან შეუპოვარ ბრძოლაში საბჭოთა პატრიოტებმა გაელიტეს 70 ჰიტლერელი, ააფეთქეს 3 სატვირთო ავტომანქანა, საომარ მასალიანად, მწყობრიდან გამოიყვანეს ორთქლმავალი და სადგურის მოწყობილობა, გერმანელებს წაართვეს 9 ტყვიამფრქვევი. 2 ავტომანქანა და რამდენიმე ათეული შაშხანა. სხვა რაზმის პარტიზანებმა რამდენიმე დღის განმავლობაში რკინიგზის მნიშვნელოვან უბანზე აიფეთქეს 3 რკინიბეტონის ხიდი. მატარებელთა მოძრაობა ამ უბანზე შეწყვეტილია დიდი ხნით.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა რუმინელთა 994-ე საჯარიმო ბატალიონის მე-4 ასეულის ეფრეიტორმა პავლე უდრიამ განაცხადა: „საჯარიმო ბატალიონი ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოვიდა ყუბანში, მაგრამ მან უკვე დაკარგა ყველა თავისი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, მრავალი ტყვიამფრქვევი და შაშხანა და პირადი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გერმანელები ჩვენ ისე გვეკცევიან, როგორც მოვეპრიანებათ. როცა კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნება, ისინი მანქანებით მოკაკურტლავენ, რუმინელებს კი სტოვებენ უკუქცეულ გერმანელთა ქვეგანაყოფების საფარად. ეს რუმინელ ჯარისკაცთა გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს. ამ ნიადაგზე ხშირად ხდება შეტაკებანი გერმანელთა და რუმინელთა შორის“.

* * *

ქვემოთ ქვეყნდება აქტი იმ მხეცობის შესახებ, რაც გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ჩაიდინეს ტყვე წითელარმიელთა მიმართ: „კალინინის ფრონტის ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ქვეგანაყოფმა 6 მაისს ხელთ იგდო მტრის პოზიციები. გერმანელთა ბლინდაჟებთან ჩვენ აღმოვაჩინეთ წითელი არმიის 15 მებრძოლის გვამი. გვამების გულდასმით გასინჯვამ ცხადჰყო, რომ ეს წითელარმიელები ტყვედ ჩაუგდიათ გერმანელებს, რომლებსაც ისინი საშინლად, მხეცურად უწამებიათ. ცხრა გვამი დამწვარია, ამასთან ოთხ მათგანს ხელები და ფეხები ეკლიანი მავთულით ჰქონდა შეკრული, ორს მოკვეთილი აქვს ხელები იდაყვის სახსართან, ერთს მოკვეთილი აქვს ფეხები ტერფის ზემოთ. ამ და სხვა ნაწამებ მებრძოლთა ვინაობის გამორკვევა შეუძლებელი გახდა, რადგან ისინი გერმანელების მიერ ისე არიან დასახიჩრებულნი, რომ ვერ იცნობ. ჰიტლერელი კაციჭამიებას ხელით დაღუპული ჩვენი ამხანაგების გვამებთან საბჭოთა მებრძოლებმა და მეთაურებმა ფიცი დასდეს—სასტიკად იძიონ შური გერმანელ ფაშისტ მტარვალებზე“. აქტს ხელს აწერენ: გვარდიის კაპიტანი დანილიუკი, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი გოლოდოვი, გვარდიის ლეიტენანტი მელნიკი, გვარდიის სამედიცინო სამსახურის უმცროსი ლეიტენანტი ოლენიკი, გვარდიის წითელარმიელები მიხაილოვი, კნიაკერი და შეშსოკი.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა მდინარე დრინის მარცხენა ნაპირზე გაანადგურეს გერმანელთა ქვეითი ჯარის კოლონა. სხვა უბანზე პარტიზანებმა მოსპეს მოწინააღმდეგის რამდენიმე სატვირთო ავტომანქანა, რომლებითაც ჯარისკაცები გადაჰყავდათ და საომარი მასალა გადაჰქონდათ. ქალაქ სპუეთან პარტიზანებმა გააფთრებულ ბრძოლაში გაელიტეს 140 ჰიტლერელი და ტყვედ წაიყვანეს 80. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა.

23 მაისის საღამოს ცნობა

23 მაისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

გასული კვირის მანძილზე, 16-დან 22 მაისამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში და მოწინააღმდეგის აეროდრომებზე მოსპობილია გერმანელთა 313 თვითმფრინავი. ჩვენ ამავე ხნის განმავლობაში 61 თვითმფრინავი დაკარგეთ.

* * *

22 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს გერმანელთა 30-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დაამსხვრიეს რკინიგზის შემადგენლობა, ჩაახშეს 9 საარტილერიო და სანაღმშტყორცნო ბატარეის ცეცხლი, დაანიავეს მოწინააღმდეგის სადარაჯო გემი და ტრალერი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენი ნაწილები არტილერიისა და ქვეითი ჯარის ერთიანი ცეცხლით სპობდნენ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასა და თავდაცვითს სიმაგრეებს. დღის განმავლობაში მოსპობილია 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დანგრეულია მოწინააღმდეგის 6 ბლინდაჟი და ჩახშობილია 4 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ჩვენი მზვერავების ჯგუფმა იერიში მიიტანა მტრის პოზიციებზე და გაელიტა 30-მდე გერმანელი. მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვიამფრქვევი, შაშხანები და ავტომატები და დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე 5 ნაწილის მზვერავმა რაზმმა დილაადრიან სწრაფად მიიტანა იერიში მოწინააღმდეგეზე და ერთი დასახლებული პუნქტი დაიკავა. ჩვენი მებრძოლნი გამავრნენ დასახლებულ პუნქტში და დღის განმავლობაში მოიგერიეს მოწინააღმდეგის 10 კონტრიერიში. ამ ბრძოლაში გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში ჩვენი ნაწილები ამაგრებდნენ დაკავებულ ზღუდეებს და უშინდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს. არტილერიის ცეცხლით დანგრეულია 3 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 4 ბლინდაჟი, დაზიანებულია 2 ტანკეტი და ჩახშობილია მოწინააღმდეგის რამდენიმე საარტილერიო და სანაღმშტყორცნო ბატარეის ცეცხლი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ანტიკუნტი საარტილერიო-სანაღმშტყორცნო სროლა იყო. უფროს სერჟანტ კულეევის ქვემეხის გუნდმა ააფეთქა საომარი მასალის საწყობი, დაანგრია საათვალთვალო პუნქტი და ჩაახშო მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

* * *

ნოვოროსიისკის ჩრდილო _ აღმოსავლეთით 6 ნაწილის არტილერისტებმა ჩაახშეს მოწინააღმდეგის 8 საარტილერიო და 2 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ჩვენი მფრინავების მიერ და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 13 თვითმფრინავი.

* * *

უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა დიდმა პარტიზანულმა რაზმმა იერიში მიიტანა რკინიგზის ასაქცევზე, რომელსაც გერმანელები ძლიერ იცავდნენ. პარტიზანებმა დაანგრიეს ასაქცევის მოწყობილობა და რამდენიმე ადგილას ააფეთქეს რკინიგზის ლიანდაგი. ასაქცევის მცველებს გერმანელებმა უახლოესი სადგურიდან მაშველი ძალები გაუგზავნეს. მტრის მატარებელი, სანამ დანიშნულების ადგილას მივიდოდა, აფეთქდა პარტიზანების მიერ ჩაწყობილ ნაღმებზე და ლიანდაგიდან გადავარდა. ასაქცევზე მომზადარ ბრძოლაში და მატარებლის მარცხის დროს მოკლულია 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. როგორც უკრაინიდან იუწყებიან, ვოროშილოვის სახელობის პარტიზანული რაზმის მხარეზე გადმოვიდა 29 გერმანელი ჯარისკაცი თავიანთი იარაღიანად. მათთან მოიტანეს 4 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი, 22 შაშხანა და რამდენიმე ათასი ვაზნა.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მოპიკირე ბომბდამშენ „იუნკერს-87“-ის მე-2 ესკადრის მე-2 ჯგუფის პილოტმა ობერ-ფელდფებელმა ფრიდრიხ შტიუკერმა განაცხადა: „ყუბანში მეორე ესკადრამ საჰაერო ბრძოლებში დაჰკარგა 60 თვითმფრინავი მათი ეკიპაჟებიანად. გარდა ამისა, აეროდრომებზე საბჭოთა ავიაციის თავდასხმის დროს მოსპობილ იქნა კიდევ 7 თვითმფრინავი და დაზიანდა 11. ნოვოროსიისკის რაიონში საბჭოთა მფრინავმა ჩამოაგდო მეორე ესკადრის პირველი ჯგუფის მეთაური მაიორ დილაის თვითმფრინავი“. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მოიერიშე ესკადრის მე-2 ჯგუფის მე-5 რაზმის მფრინავმა უნტერ-ოფიცერმა ოტო გლეზერმა განაცხადა: „„უდეტის“ ესკადრის ჯგუფმა და 52-ე გამანადგურებელი ესკადრის ჯგუფმა უკანასკნელ ბრძოლებში დაჰკარგეს 25 თვითმფრინავი. ბევრი თვითმფრინავი მოსპობილია ნეელეთზე. მარტო ანაპის აეროდრომზე საბჭოთა ავიაციის მოქმედების შედეგად ერთი თვის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 40-ზე მეტი თვითმფრინავი“. ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-4 ბომბდამშენი ესკადრის მე-3 ჯგუფის მეთვალთვალე მფრინავმა კურტ ლეზერმა განაცხადა: „გერმანელთა საჰაერო ძალების ზარალი ძალიან დიდია. საკმარისია ითქვას, რომ ესკადრის საფრენოსნო შემადგენლობა უკვე რამდენჯერმე განაახლეს. ამას წინათ რუსმა მფრინავებმა დაბომბეს საკის აეროდრომი და 9 თვითმფრინავი მოსპეს ხმელეთზე“.

* * *

საარგემიუნდის (ლოტარინგია) ახლოს ჰიტლერელებმა სამხედრო საპყრობილე მოაწყეს. ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ამ საპყრობილეში ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი ჩასვეს. სხვა პატიმრები წინათ ბრძოლებში იღებდნენ მონაწილეობას, დაიჭრნენ და გამოჯანმრთელების შემდეგ კატეგორიული უარი განაცხადეს წასულიყვნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. აპრილის დამლევს საპყრობილეში მიიყვანეს გერმანელთა წყალქვეშა ნავის ეკიპაჟი, რომელმაც უარი სთქვა ზღვაში განსულიყო საბრძოლო დავალების შესასრულებლად.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განუმარტეს იმ კოლმეურნეობებს, რომლებიც ფეტვს სთესავენ, რომ ფეტვის მოსავლიანობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დამატებითი საზღაურის კოლმეურნეობათა რგოლებისათვის მიცემის ის წესი, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებით, დატოვებულია 1943 წლისთვის. იმ რგოლთა კოლმეურნეებს, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებენ ფეტვის მოსავლიანობის გეგმას, რაც დაწესებულია რგოლისათვის, ეძლევათ დამატებითი საზღაური ნატურით—ფეტვით, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორია მარცვლეულ კულტურათა საერთო მოსავალი მთლიანად კოლმეურნეობაში, ავრეთვე სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმის შესრულებამდე და სათესლე ფონდების გამოყოფამდე.

იმ რგოლთა კოლმეურნეებს, რომლებიც გადაჭარბებით შეასრულებენ ფეტვის მოსავლიანობის გეგმას, ეძლევათ ფეტვის იმ მოსავლის ერთი მესამედი, რაც მიღებულია რგოლისათვის დაწესებული მოსავლიანობის გეგმის გადამეტებით.

ფეტვის მოსავლიანობის გეგმა საქართველოს სსრ ყველა რაიონისათვის დაწესებულია ჰექტარზე 6 ცენტნერის რაოდენობით.

თესვის გეგმის შესრულება

თეთრი წყაროს რაიონში 20 მაისისათვის, შარშანდელთან შედარებით 10 დღით ადრე, დაამთავრა ყველა საგაზაფხულო კულტურის თესვის გეგმა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.335 ჰექტარისა დათესილია 11.346 ჰექტარი—გეგმის 100,1 პროცენტი. მზესუნზხარა დათესილია გეგმის 115 პროცენტი, კარტოფილი—100 პროც. ბოსტნეული და ბაღჩეული—103 პროც. საქონლის საკვები კულტურები—100,2 პროცენტი. გარდა ამისა, კოლმეურნეობებმა გეგმის გადამეტებით დათესეს თავდაცვის ფონდისა და ძმური დახმარებისათვის 120 ჰექტარი მარცვლეული კულტურები.

საქ. კ. პ. (ბ) თეთრი წყაროს რაიკომის მდივანი **გ. ნ. ბაძაძე**
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ო. ვ. ანო.ვი**

24 მაისის დილის ცნობა

23 მაისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

***

ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით 6 ნაწილის არტილერისტებმა სროლა აუტეხეს მოწინააღმდეგის თავმოყრილ ჯარებს. არტილერიის ცეცხლით დამსხვრეულია 3 ტანკი, 10 ავტომანქანა, გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია გერმანელთა ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფმა ღამით მოაწყო დაზვერვა ბრძოლით. საბჭოთა მებრძოლნი შეიჭრნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში, ააფეთქეს 2 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, 5 ბლინდაჟი და მოსპეს 40 ჰიტლერელი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დავლა.

***

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა დაანგრიეს 8 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და გაანადგურეს გერმანელთა ავტოკოლონა. 5 ნაწილის მზვერავმა ჯგუფმა მტრის ზურგში შეაღწია და მოსპო საწყობები საინჟინრო ქონებიანად. მზვერავებმა 30 გერმანელი ჯარისკაცი გაელიტეს საწყობების მცველი რაზმიდან.

***

სევასტოპოლის რაიონში 5 ნაწილის მზვერავთა ჯგუფმა შეამჩნია მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის დიდი კოლონის მოძრაობა. ჩვენმა არტილერისტებმა, რომლებსაც მზვერავთა-გან ეს ცნობები მიიღეს, მასირებული სროლა ასტეხეს. სროლის შედეგად გაფანტულ და ნაწილობრივ მოსპობილ იქნა ორ ბატალიონამდე ჰიტლერელი.

ჩვენმა მფრინავმა-გამანადგურებლებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 4 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის ერთი თვითმფრინავი მოსპობილ იქნა თოფის ზალპით.

***

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ჯარისკაცი, ჩაახშეს რამდენიმე საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, მოსპეს 9 ავტომანქანა, დაანგრიეს 13 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, 8 ბლინდაჟი და 2 სათვალთვალო პუნქტი. საფარში მყოფმა სნაიპერმა წითელარმიელმა ამხ. კრუტოვმა მოჰკლა 5 გერმანელი ჯარისკაცი და ორი ოფიცერი.

ჩვენმა მფრინავებმა დაანგრიეს რკინიგზის ხიდი და დაახიანეს მოწინააღმდეგის სადარაჯო გემი.

ბრიანსკის ფრონტის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა 14 მაისს იერიში მიიტანა გერმანელთა გარნიზონზე და დასახლებულ პუნქტში გაფანტულ შეაგინა პარტიზანებმა. „ბაბაროსა“ 8-ზე მეტი ჰიტლერელი, ხელთ იგდეს რამდენიმე ათეული შაშხანა, 5,000 ვაზნა, ბევრი ნაღმი და სხვა დავლა. პარტიზანებმა დაიკავეს დასახლებული პუნქტი, ხელთ იგდეს გერმანელთა რქიანი საქონლის დიდი ბაზა და საწყობი, სადაც 1,200 ფუთზე მეტი მარცვლეული იყო. საქონელი და მარცვლეული ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდა.

***

ტყვედ წამოყვანილმა ფინელთა 31-ე ქვეითი პოლკის მე-3 ბატალიონის სატყვიამფრქვევო ასეულის ჯარისკაცმა ვეიკო ლიპონენმა განაცხადა: „ჩვენს ბატალიონში რეზერვისტები სპარბობენ. ესენი ცოლშვილიანი კაცები არიან, რომელთაც ომი არასურთ და შინ, თავიანთ ოჯახებისაკენ მიისწრაფვიან. გერმანიის გამარჯვება ჩვენ არა გვწყამს და არც გვინდა მისი გამარჯვება. ყველა ამბობს, ჰიტლერმა რომ ომში გაიმარჯვოს, ფინეთს ნორვეგიისა და საფრანგეთის ბედი ეწვეოდა. გერმანელებმა ჯერ ახლავე გაძარცვეს ჩვენი ქვეყანა და იმდენი ტანჯვა მიაყენეს ხალხს, რაც მას არასოდეს განუცდია“.

***

ტრანსილვანიის კარპატებში (რუნინეთი) ძლიერი და კარგად შეიარაღებული პარტიზანული რაზმები მოქმედებენ. რაზმებს ემატებიან რუმინეთის არ

რაიონული პარტკონფერენციები

ჭიათურის რაიონი

ჭიათურა („კომუნისტის“ საკ. კორ.). 22-23 მაისს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიონის მეხუთე კონფერენცია, რომელმაც განიხილა რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ანგარიში. პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. შ. ხიდაშელი, მეორე საკითხზე ამხ. ვ. გამყრელიძე. მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ა. ბლიაძემ, აკ. ივანიაძემ, უ. თაბაგარმა, ა. კოხრეიძემ, ვ. კაპანაძემ, ი. გაფრინდაშვილმა, ს. კაპანაძემ, ს. ცარციძემ, გ. ლომიძემ, გ. ფრანგიშვილმა, ი. გიორგაძემ და გ. ბიწაძემ.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად. კონფერენციამ აირჩია რაიკომის შემადგენლობა.

შესდგა რაიკომის პლენუმი, რომელმაც პირველ მდივნად აირჩია ამხ. შ. ხიდაშელი, მეორე მდივნად—ამხ. შ. სამხარაძე და მდივნად კადრების დარგში—ამხ. ბ. მახათაძე. კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბრეშველობის დარგში ამხ. ზ. ჩხუბიანაშვილი.

პ. ჭიოკაძე

წალენჯიხის რაიონი

ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიონული კონფერენცია.

კონფერენციამ დაამტკიცა დღის წესრიგი: 1. პარტიის რაიონული კომიტეტის ანგარიში, 2. რაიკომის სარევიზიო კომისიის ანგარიში, 3. არჩევნები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი ამხ. კვარაცხელია, სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. კანკიამ.

მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 20-მა ამხანაგმა. კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ რაიკომის შემადგენლობაში აირჩია 33 წევრი და 9 კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში—7 ამხანაგი.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბარამია.

პლენუმმა რაიკომის ბიუროს შემადგენლობაში აირჩია 5 წევრი და 2 კანდიდატი. რაიკომის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ლ. კვარაცხელია, მეორე მდივნად—ამხ. ი. ზარანდია, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ი. გულუა.

ორჯონიკიძის რაიონი

22-23 მაისს ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის (ყოფ. ხარაგოულის) XII რაიონული კონფერენცია.

რაიკომის მუშაობის შესახებ სანგარიშო მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელმა ამხ. ზ. კიკნაძემ. სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა ამხ. ა. ფირაძემ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა გ. ღამბაშიძემ, დ. აბაშიძემ, მ. ნიკოლეიშვილმა, ვ. ბოგვერაძემ, მ. სამხარაძემ, ზ. შარიქაძემ, ა. ხაჩიძემ, ე. ცქიტიშვილმა, ლ. გელაშვილმა, პ. ამაშუკელმა, გ. აბაზაძემ და სხვ. კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი სცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

კონფერენციამ რაიკომის შემადგენლობაში აირჩია 33 წევრი და 9 კანდიდატი. შესდგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი. საქ. კ. პ. (ბ) ორჯონიკიძის რაიკომის პირველ მდივნად პლენუმმა აირჩია ამხ. ზ. კიკნაძე, მეორე მდივნად—ამხ. უ. კუპატაძე, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ა. ტაბატაძე.

დ. მაისურაძე

იონა ვაკელი

მეგობრული შრომა

მეტად მომხიბვლელია სოფელი გაზაფხულზე; ამწვანებული, აყვავებული, ნიადაგაფორაგებული ხნულით და ნათესებით... მაბარაძის რაიონის შრომის სასოფლო საბჭოს მთელი მოსახლეობა შესცქერის საკოლმეურნეო ჰინდვრებს. იბრძვიან მხნედ და შეწყობილად ჭარბი მოსავლისათვის, ისე, როგორც მისი შვილები სამამული ომში არ ზოგავენ სიცოცხლეს დედა-სამშობლოს დასაცავად.

სოფელი შრომა! მისი სახელი ფართოდ არის ცნობილი. მას კარგად იცნობენ მოძმე რესპუბლიკებში. შრომისა და ზაპოროჟიეს ოლქის გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებს დიდხანს ჰქონდათ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. ეს შეჯიბრება გადაიქცა ხალხთა სტალინური მეგობრობის მძლავრ დემონსტრაციად. ჰქონდათ მიწერ-მოწერა, მისვლა-მოსვლა, ვიდრე ეს კავშირი დროებით არ გასწყვეტა უხეშმა ძალამ. დღეს გენიჩესკის რაიონში დაძრწიან ფერმანელ ფაშისტთა ურდოები, აღარ არის ის აყვავებული კოლმეურნეობა, მაგრამ ურყევი და მტკიცეა ხალხთა სტალინური მეგობრობა. აი რას სწერს ერთ-ერთი უკრაინელი ყოფილი კოლმეურნე ამხ. იგნატ ივანეს-ძე აბრამენკო სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის ოროენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მიხეილ ორაგველიძეს: მე ახლა ვიმყოფები წითელი არმიის რიგებში და ვიცავ სამშობლოს. ჩვენს აყვავებულ კოლმეურნეობაში, რომელშიაც თქვენ ყავით ჩამოსული სოციშეჯიბრების ხელშეკრულების შესრულების შემოწმების დროს, ახლა დაძრწიან ფაშისტები და აწიოკებენ ჩვენს დედებს და შვილებს. ჩემთან არიან ჩემი ამხანაგები, რომლებმაც არ იციან, თუ რა ბედი ეწიათ მათს ცოლ-შვილს... თქვენ მომაგონდით და გადაგწყვიტე მოგწერო ეს წერილი. მტრის განადგურების შემდეგ ჩვენ ისევ განვაგრძობთ სოციშეჯიბრებას, რადგან სოციალისტური მეგობრობა ხალხებისა იყო, არის და იქნება ის ძალა, რომელიც სამოლოდ გაანადგურებს მტერს. მოგვწერეთ წერილი ამხანაგებო.

თავის მხრივ შრომის კოლმეურნეები, გულთბილ დამოკიდებულებას იჩენენ უკრაინელი მეგობრებისადმი. აი რას სწერს ამხ. ლ. მიიბორაია ფრონტიდან სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მიხ. ორაგველიძეს: ამხ. მიხაკო! მიღებული წერილიდან გავიგე, რომ თქვენ საქმით ანხორციელებთ ჩვენი პარტიის და მთავრობის მოწოდებას—ეიყოთ გულისსმიერნი ევაკუირებულებისადმი. ნება მომეცით მადლობა გადაგიხადოთ თქვენ იმ გულწრფელი დახმარებისათვის, რომელიც აღმოუჩინეთ ჩემსა და ჩემი ამხანაგების ოჯახებს. რა თქმა უნდა, თქვენ არ განგიცდიათ ევაკუირება, მაგრამ კარგად იცით, თუ რა განიცადა ამ ხალხმა! მთელი ჩემი ქონება, შეძენილი 15 წლის განმავლობაში პატიოსანი შრომით, დარჩა მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. თქვენი გულისხმიერი დახმარება ჩემი და ჩემი ამხანაგების ოჯახებისადმი ჩემს სიცოცხლეში არასოდეს არ წაიშლება მეხსიერებიდან.

ამჟამად მახარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეები ეჯიბრებიან ურალის კოლმეურნეებს. ეს შეჯიბრება შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა თაოსნობით დაიწყო. ურალელმა კოლმეურნეებმა მიიღეს გამოწვევა. ისინი აღფრთოვანებით სწერენ: დიდი სიხარულით წავიკითხეთ თქვენი წერილი, რომლითაც თქვენ გვიწვევთ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ჩვენ ერთსულოვნად მივიღეთ ის. ეს სოციშეჯიბრება ჩვენ დაგეხმარება წარმატებით ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა, დახმარება გავუწიოთ მშობლიურ წითელ არმიას. მთელი ჩვენი აზრები მიმართულია ერთი მიზნისაკენ—მთელი ძალ-ღონე შევწიროთ დედა-სამშობლოს დაცვას. რომ დაჩქარებით გავწმინდოთ საბჭოთა მიწა-წყალი ფაშისტური სიბილწისაგან . ამ შეჯიბრების შედეგად უკვე საგრძნობი წარმატება აქვთ სოფ. შრომის კოლმეურნეებს. სუბტროპიკული, ტექნიკური კულტურების მოვლა-დამუშავების გარდა, საგრძნობლად გადიდდა სათესი ფართობები. ამჟამადაც კვლავ გრძელდება თესვა. ბრიგადა ბრიგადას ეჯიბრება, რგოლი-რგოლს. არიან მთელი რიგი მოწინავე ადამიანები, რომლებმაც თავი ისახელეს კარგი მუშაობით. ასე, მაგალითად, მეხუთე ბრიგადამ (ბრიგადირი ამხ. ნოე ჩხაიძე) საგრძნობლად გადააჭარბა გეგმას და დასთესა 30 ჰექტარი. მეთერთმეტე ბრიგადამ (ბრიგადირი ამხ. ლადო გაგუა) დასთესა 26 ჰექტარი, მეთორმეტე ბრიგადამ—ბრიგადირი ამხ. ბენია გოგოძე—სამი დღით ადრე დაამთავრა თესვა და სანიმუშოდ ეხმარება წითელარმიელთა ოჯახებს.

მთელი შრომის მოსახლეობა ყოველმხრივ ეხმარება ფრონტს. წელს მათ სატანკო კოლონნა და საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილიების მშენებლობის ფონდში რამდენიმე ასეთასი მანეთი შეიტანეს. ზრდიან ჯიშიან ცხენებს. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ის ღონისძიებანი, რასაც კოლმეურნეობის გამგეობა მიმართავს თავის ყოველდღიურ მუშაობაში. აღსანიშნავია და სხვებისთვის მისაბაძ მაგალითადაც შეიძლება გამოდგეს ის დიდი ყურადღება, რომელსაც კოლმეურნეობა იჩენს წითელარმიელთა ოჯახებისადმი. წელს 53 ჰექტარი ყანა დაუთესეს წითელ არმიაში გაწვეულთ. მათ ოჯახებს მისცეს ხუთ ტონამდე სიმინდი. ზამთარში მიუზიდეს 780 ურემი შეშა, 10.775 კონა ჩალა საქონლის საკვებად, გადაუხურეს და ნაწილობრივ შეუკეთეს სახლი 17 ოჯახს.

აი ასე, მხნედ, გამარჯვების ღრმა რწმენით მეშაობს სამამული ომის დღეებში საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი კოლმეურნეობა, რომელიც ატარებს მგზნებარე რევოლუციონერის ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის სახელს.

საგაზაფხულო კულტურების თესვა

(საქმიწსახკომის 20 მაისის ცნობებით)

რაიონები	სულ დათესილია საგაზაფხულო კულტურებ. ჰექტრებით	მათ შორის მარცვლეული და პარკოსანი	მათ შორის კარტოფილი	მათ შორის თამბაქო
აფხაზეთის ასსრ	71,7	86	57,5	34,3
აჭარის ასსრ	96,1	107,4	97,8	18.6
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	95,5	97,5	84	
ქობა	100,2	100,3		
ცხაკაია	100,1	100,4		
გეგეჭკორი	97,4	100,1		
ზუგდიდი	99,4	100,5		17
ხობი	100,3	101,2		
წალენჯიხა	102.3	102.5		
ჩხოროწყუ	100,8	103.3		
მახარაძე	100,6	100,4		
ლანჩხუთი	81,1	100.4		
ჩოხატაური	76,2	81,2	100,5	4.7
ფოთი	94,7	101		
ქუთაისი	100	101,6	101,4	
წყალტუბო	101	100,9	100	
სამტრედია	97,7	100,3	100	
წულუკიძე	96,8	101,5	100	
ვანი	95.6	100,2	101,7	
მაიაკოვსკი	100,9	101	100	
ზესტაფონი	102	103,1	100	
ჩხარი	100,1	100	100	
ჭიათურა	100,2	101,1	100	
საჩხერე	102,7	102,2	101,7	
ორჯონიკიძე	102.3	102,1	121,4	
ტყიბული	101	101.3	100	
ონი	100,6	100,9	100,4	
ამბროლაური	101,7	101,8	100	

რაიონები	სულ დათესილია საგაზაფხულო კულტ. ჰექტრებით	მათ შორის მარცვლეული და პარკოსანი	მათ შორის კარტოფილი	მათ შორის თამბაქო
ცაგერი	99,6	99,5	100	
ქვემო სვანეთი	101,1	102,6	103,3	
ზემო სვანეთი	—	—	—	
ახალქალაქი	90,8	100	100,1	
ბოგდანოვკა	94,5	98,2	101,3	
ახალციხე	100	101,5	100	
ადიგენი	100	100,2	100.6	
ალპინა	101,5	101,2	106,7	
ნაშური	101,6	105,9	102	
ქარელი	98,9	101,7	131	
გორი	100,6	106,5	107,3	
კასპი	100,4	103,3	100	
ბორჯომი	96,8	101,2	89,1	
წალკა	90,6	95,4	100	
ლეწეთი	102,1	103,4	103,3	
თეთრი წყაროო	100,1	98,1	100	
თიანეთი	74,5	78,6	100,4	
ყაზბეგი	—	—	—	
გურჯაანი	101	105,2	79	31
სიღნაღი	95,5	100,3	100	53
წითელწყარო	103,1	106,4	85,7	
თელავი	101,6	104	101.8	
ყვარელი	97,4	101,9	100	45,6
ლაგოდეხი	90	100,4	100	75
თბილისი	89	100	43,6	
მცხეთა	89,3	109,9	73	
ყარაია	85,5	106.6	110,5	
ბორჩალო	63.5	101,4	100.8	48,4
ბოლნისი	98.8	102,2	92.3	54,9
დაბაღარეჯო	100.2	110,1	53,4	
ბაკურიანი	97,1	101	107	

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო ფოთის მაჩვენებლები 15 მაისისაა.

დღეფეზი

ყირიმელი პარტიზანები ურჯყამენ ფაშისტ ოკუპანტებს

უნეშა, 23 მაისი (საკდესი). რუმინულ გაზეთ „ვიაცის“ კორესპონდენტი, რომელმაც მოიარა ჰიტლერელების მიერ ოკუპირებული ყირიმი, აღიარებს, რომ ჰიტლერელები შიშობენ, რომ მათ პარტიზანები თავს დაესხმიან ყოველ გზაზე და ყოველ ბილიკზე. კორესპონდენტი სწერს, რომ გერმანელ ხელისუფლებს ყველგან გაუკრავთ პლაკატები, რომლებზეც სწერია: „მზად იქონიე ფაშხანა!“ „საშიშია—ირგვლივ პარტიზანები არიან!“, „საღამოს ხუთი საათიდან დილის ხუთ საათამდე მხოლოდ ჯგუფ-ჯგუფად იარეთ!“ და სხვ.

„მთიან ადგილას, ხშირს ბუჩქნარსა და ტყეებში,—სწერს კორესპონდენტი, — გერმანელი და რუმინელი ჯარისკაცები იძულებული არიან ყოველდღიური გაფთრებული ბრძოლა აწარმოონ მოხერხებული საბჭოთა პარტიზანების წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი მთებისა და კლდეების მწვერვალებზე მდებარე საუთვალთვალო პუნქტებიდან თვალყურს ადევნებენ გერმანელთა და რუმინელთა ჯარებისა და აღალების მიმოსვლას და თავიანთ მეთაურებს ატყობინებენ ამ მიმოსვლის შესახებ. პარტიზანების ბანაკებთან მიახლოება შეუძლებელია. კიდევ უფრო ნაკლებად შესაძლებელია პარტიზანების ცოცხლად ჩაგდება ხელში. ღრმან ტყეებში ხშირად გაისმის სროლის ხმა. ხეებში დამალულ მსროლელთა ტყვია ძალიან ხშირად ხვდება გერმანელ და რუმინელ ჯარისკაცებს. უხილავი ხელით გამზადებული სიკვდილი ყველგან უთვალთვალებს კაცს. აქ ჩვენ არ გვინდობენ. ვაი იმ ჯარისკაცს, რომელიც თავის ნაწილს ჩამოშორდება ამ მხარეში, მას უეჭველად მკვდარს იპოვნიან“.

გაერთიანებულ ერთა კონფერენცია ომისშემდგომი დროის სასურსათო საკითხებზე

ჰოტ სპრინგსი (ვირგინიის შტატი), 22 მაისი (საკდესი). გაერთიანებულ ერთა კონფერენციაზე ომისშემდგომი დროის სასურსათო საკითხთა შესახებ შექმნილია მთელი რიგი სექციები ცალკეულ პრობლემათა დასამუშავებლად.

მოხმარების ნორმებისა და სურსათის მოთხოვნილების საკითხთა სექციის თავმჯდომარედ არჩეულია გო პინ-ვენი (ჩინეთი). სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებისა და მოხმარების საჭიროებისათვის მისი შეგუების საკითხთა სექციის თავმჯდომარედ არჩეულია საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. კრუტიკოვი. განაწილების საშუალებათა გაადვილებისა და გაუმჯობესების საკითხთა სექციის თავმჯდომარედ არჩეულია მუნნი (ბრაზილია).

შექმნილია აგრეთვე სექცია კონფერენციის მუშაობის წესრიგის შესახებ წინადადებათა დასამუშავებლად. ამ სექციის თავმჯდომარედ არჩეულია ლოუ (ინგლისი).

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 23 მაისი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 20 მაისს ღამით ინგლისის საშუალო ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს მესინაზე (სიცილია). ბომბები პირდაპირ მოხვდა რკინიგზისა და დამახარისხებელ სადგურებს. ელექტროსადგურის ახლოს და ნავთსაცავების რაიონში ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ინგლისის თვითმფრინავებმა დაბომბეს აგრეთვე სამხრეთ იტალიის ობიექტები.

21 მაისს ღამით „ველინგტონის“ ტიპის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს კუნძულ სიცილიის აეროდრომებზე. ამ აეროდრომებზე ხანძარი გაჩნდა.

22 მაისს თვითმფრინავები „მფრინავი სიმაგრეები“ „ლანტნინგ—პ-38“ ტიპის ავიაგამანადგურებლების თანხლებით თავს დაესხნენ ბორიოს (სიცილია) აეროდრომს. ბომბები გასცდა აეროდრომის მთელ ტერიტორიაზე; ბევრგან ხანძარი გაჩნდა.

მოკავშირეთა ჩრდილოეთ-აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში ტყვედ წამოყვანილია 900-მდე გერმანელი და იტალიელი, რომელნიც ცდილობდნენ ჩრდილოეთ აფრიკიდან გაქცევას პატარა გემებით.

მოკავშირეთა ნაღმოსანი ტრალერები განაგრძობენ სიცილიის სრუტის გაწმენდას ტრის ნაღმებისაგან.

ლონდონი, 24 მაისი (საკდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, წუხელ ინგლისის ბომბდამშენთა ფრიად დიდი ძალები თავს დაესხნენ რურს. იერიშების მთავარ ობიექტს წარმოადგენდა ქალაქი დორტმუნდი. ეს ყველაზე დიდი თავდასხმა იყო იმ თავდასხმათა შორის, რაც კი აქამდე მომხდარა გერმანიაზე. ჩამოგდებულ იქნა 2.000 ტონაზე მეტი ფუგასური და ცეცხლგამჩენი ბომბი. ამ ოპერაციიდან ინგლისის 38 ბომბდამშენი არ დაბრუნებულა.

23 მაისს „ტაიფუნ“ თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს მტრის გემების ქარავანზე, როდესაც იგი ფლისინგენის ნავსადგურში შედიოდა. იმავე დღეს ინგლისის ავიაციამ დაბომბა კოქსის ღუმელები ზეებრიუგენში. მიზნის რაიონში ბევრგან შემჩნეულია აფეთქება.

გუშინ მოწინააღმდეგის თვითმფრინავებმა დილაადრიან იერიში მოიტანეს ინგლისის აღმოსავლეთ სანაპიროს რამდენიმე ქალაქზე. ქალაქებს ზიანი მიაყენეს. ფიქრობენ, რომ მსხვერპლი დიდია და მათ შორის ბავშვებიც არიან. ქუჩებში ტყვიამფრქვევის დაშენის შედეგად ზოგიერთი გამვლელი დაიჭრა.

ხმელთაშუა ზღვის ბასეინში მოკავშირეთა ავიაციამ მასირებული თავდასხმები მოახდინა კუნძულ პანტელერიასა და სარდინიაზე. შემჩნეულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა ხუთ მცირე გემს. რამდენიმე დაბომბილ აეროდრომზე დაზიანებულია მოწინააღმდეგის თვითმფრინავები. ყველა ობიექტზე ბევრგან შემჩნეულია ხანძარი და აფეთქება.

22 და 23 მაისს ინგლისის მძიმე ბომბდამშენები თავს დაესხნენ სამხრეთ იტალიას.

ინგლისის ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 23 მაისი (საკდესი). როგორც ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, 21 მაისს ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა კუნძულ სიცილიის დასავლეთ ნაწილში იერიში მიიტანეს რკინიგზის ნაგებობებსა და კომუნიკაციებზე. ბომბები პირდაპირ მოხვდა ჯაზლის ნაგებობებსა და მატარებლებს.

ბრძოლები კუნძულ აუზეზ

ნიუ-იორკი, 23 მაისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ბრძოლები კუნძულ ატუზე (ალეუტის კუნძულები) გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. იაპონიის ჯარები ახლა სამ ჯგუფად არიან გათიშულნი. ერთი მათგანი უკუჩქცეულია ჩიჩაგოვის ნავსადგურის რაიონისაკენ. მეორეს უკავია ჩიჩაგოვის ხეობა, ხოლო მესამეს—ნიკოლასის ტბის ჩრდილოეთი წაპირი. ამერიკის ავიაცია, ეხმარება რა სახმელეთო ჯარებს, ბომბავს იაპონელთა პოზიციებს.

ჭიდილი უნგრელი დაქირავებული შეშფოთებული არიან

სტამბოლი, 23 მაისი (საკდესი). უნგრელ მმართველთა მთელ რიგ უკანასკნელ გამოსვლებში ისმის აშკარა შეშფოთება, რაც გამოწვეულია იმით, რომ უნგრეთში იზრდება უკმაყოფილება ჰორტი-კალაის პოლიტიკით. პრემიერ-მინისტრ კალაის ამასწინანდელი გამოსვლის შემდეგ, რომელშიც იგი მუქარის ტონით გაფრთხილებას იძლევდა „არაჯანსაღი განწყობილების გამოხატულებისა და სხვადასხვა მტრული ხმების გავრცელების“ წინააღმდეგ, ამგვარივე სიტყვა წარმოსთქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა კერესტეშ-ფიშერმა.

მან განაცხადა, რომ უნგრეთის ყველა საზოგადოებრივ ფენაში საკმაოდ მოიპოვებიან ისეთი ელემენტები, „რომელთა მოქმედება დანაშაულებრივია“. „ყველა საზოგადოებრივი ფენა ადგილი,—სთქვა კერესტეშ-ფიშერმა, — სავსეა ისეთი ადამიანებით, რომლებსაც კადნიერად უჭირავთ თავი ხელისუფალთა მიმართ. მე ვფიქრობ, ეს ადამიანები ეროვნულ ხელისუფლებს შეამოწმონ ყველა იმათი დოკუმენტები, ვისაც კადნიერად უჭირავს თავი“. საკონცენტრაციო ბანაკებში იძულებითი შრომა აწესებს და აიძულებს ამ ადამიანებს შეეგუონ ჩვენი დროის მოთხოვნებს“.

კერესტეშ-ფიშერის ბრძანებით ძლიერდება ტალონი გაფრთხილებას ეძლევა ბევრ ადამიანს. ბუდაპეშტში ბევრ ადამიანებ დააპატიმრეს და საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს. ხალხს ყოველდღე ეკავებენ და აპატიმრებენ. ბუდაპეშტის გარეუბნებში საიდუმლო პოლიციამ დიდძალი ხალხი დააპატიმრა. 11 მაისს მასობრივად დააკავეს ხალხი ბუდაპეშტის ტრამვაიებში. ხალხის დაკავების დროს ტრამვაის მოძრაობა შეწყვეტილი იყო.

დემაგოგიით სახსრების ასიგნება საჭურვლის იჯარით ან სესხად გადაცემის კანონის განსახორციელებლად

ნიუ-იორკი, 24 მაისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ 309 ხმის უმრავლესობით 4-ის წინააღმდეგ მოიწონა კანონ-პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 6.274 მილიონი დოლარის დამატებით ასიგნებას საჭურვლის იჯარით ან სესხად გადაცემის კანონის განსახორციელებლად.

ამერიკის 14 სამხედრო ხომალდი მწყობრს დაუბრუნდა

ნიუ-იორკი, 24 მაისი (საკდესი). სამხედრო-საზღვაო სარდლობის წარმომადგენლის განცხადებით, მწყობრს დაუბრუნდნენ მთელი რიგი ხომალდები, რომლებიც ჩაძირული ან დაზიანებული იყვნენ 1941 წლის 7 დეკემბერს პირლ-ჰარბორზე იაპონის ავიაციის თავდასხმის დროს. 19 ხომალდიდან, რომელთა დაღუპვის ან დაზიანების შესახებაც თავის დროზე იტყობინებოდნენ, 14 უკვე კვლავ ჩადგა მოქმედი ფლოტის რიგებში. მათ შორის 6 სახაზო გემია და 3 კრეისერი. დანარჩენი გემების აღდგენა სწრაფად მიმდინარეობს.

მწყობრში დაბრუნებული ხომალდების უმრავლესობა მოდერნიზებულია და წინანდელზე უკეთეს მდგომარეობაშია.

ეკონომიური ნგრევა გერმანიის ვასალურ ქვეყნებში

სტამბოლი, 24 მაისი (საკდესი). თვით ფაშისტთა გაზეთების აღიარებით, რუმინეთში, უნგრეთსა და იტალიაში ეკონომიური ნგრევა მწვავდება, ძლიერდება შიმშილი, იზრდება მოსახლეობის უკმაყოფილება.

რუმინული პრესის ცნობებით, რუმინეთის მოსახლეობას 1 მაისიდან პური კვირაში მხოლოდ ორჯერ ეძლევა. ხორცი და ცხიმეული რუმინელებს უკვე დიდი ხანია დაავიწყდათ. მიუხედავად ამისა, როგორც გაზეთი „დონაუ ციტუნგი“ აღიარებს „რუმინეთიდან მეცხოველეობის პროდუქტების გაზიდვა ერთიორად გადიდდა“. შარშანდელთან შედარებით, ფასები ერთიოთხად გაიზარდა. „ომმა,—აღნიშნავს გაზეთი „კომერციულიი“,—მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრება და ეკონომიკა მოშალა“.

ასეთსავე მწვავე სიძნელეებს განიცდის გერმანიის სხვა ვასალი—უნგრეთიც. ჰიტლერულ ეურნალ „ნოიე ორდნუნგის“ აღიარებით „უნგრეთში სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდება ყოველგვარი შეზღუდვა... ეს წარუშლელ მძიმე კვალს აჩნევს ცხოვრებას“. გაზეთი ვერა მალავს იმ ფაქტს, რომ ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების პროპაგანდა ძლიერს „გავლენას ახდენს უნგრეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მოსახლეობის სულიერ განწყობილებაზე“. მთელი რიგი გაზეთები აღნიშნავენ წარმოების დონის უაღრესად შემცირებას. ბევრი საწარმოს მოწყობილობა მეტისმეტად გაცვთა.

იტალიაშიც მკვეთრად სჩანს წარმოების შემცირება. იტალიის სამრეწველო ცენტრების განუწყვეტელი დაბომბვა, ნედლეულის მწვავე ნაკლებობა და სერიოზული სატრანსპორტო სიძნელეები მთელი მრეწველობის მუშაობას შლის.

ქრონიკა

ანკარა, 22 მაისი (საკდესი). გადადგა შინაგან საქმეთა მინისტრი რეჯეპ პეეერი. ახალ მინისტრად დაინიშნა მეჯლისის პარტიული ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე ჰილმი ურანი.

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა

(„საქჩაის“ 20 მაისის ცნობებით)

რაიონები	მაისის გეგმის შესრულება პროცენტობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	რაიონები	მაისის გეგმის შესრულება პროცენტობით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით
ბათუმი	11,1	2,6	წულუკიძე	31,8	7,9
ქობულეთი	5,4	1,2	ქუთაისი	58,4	14,1
გალი	6.7	1,6	წყალტუბო	76	18,2
ორმანჩირე	0.7	0,2	ტყიბული	37.3	8,9
გულრიპში	—	—	ცხაკაია	20.4	4,9
სოხუმი	—	—	აბაშა	—	—
გუდაუთი	6 5	1,6	გეგეჭკორი	11.6	3 8
მახარაძე	4.6	1	ზუგდიდი	11 7	2.8
ჩოხატაური	29	6,7	წალენჯიხა	25 2	1
ლანჩხუთი	10.1	2,3	ჩხოროწყუ	16 5	0
სამტრედია	70.9	17	ხობი	33 2	

აფხაზეთის ასსრ რაიონების ცნობები 15 მაისისაა.

„ეჭვით ავადმყოფი“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. სურათზე მსახიობები როლებში: ა. ყორეოლიანი (არგანი), მ. დავითაშვილი (ტუანეტა), გ. კობიაშვილი (კლეანტი), მ. ჯაფარიძე (ანჟელიკა).

„ეჭვით ავადმყოფი“

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა მორიგ პრემიერად დასდგა მოლიერის „ეჭვით ავადმყოფი“, თარგმანი ივ. ნაჩაბლისა (დამდგმელი ვასო ყუშიტაშვილი).

გულახდილად უნდა ითქვას, რომ სპექტაკლმა წარმატება ვერ მოიპოვა. რეჟისორულად კარგად გამიზნულ სპექტაკლს კარგი შემსრულებლები ვერ აღმოაჩნდნენ.

ამ პიესის გამარჯვება დამოკიდებულია მთავარ პერსონაჟ არგანზე (ა. ყორეოლიანი). სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ა. ყორეოლიანის მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭი ამ როლში ვერ გამოვლინდა. მისი „ეჭვით ავადმყოფი“ არგანი ზერელედ არის მოცემული. ისე მოსჩანდა, თითქოს ა. ყორეოლიანი არც კი დარჯილი გასცნობოდა მოლიერის ირგვლივ არსებულ მდიდარ ლიტერატურას, ეთქვას, დიდ მსახიობთ, რომელთაც უთამაშნიათ ეს როლი..

არგანი, სტანისლავსკის სიტყვით რომ ვთქვათ, „თავის ავადმყოფობაზე შეყვარებული ადამიანია“. არგანს უყვარს თავისი ავადმყოფობა, იგი გატაცებულია ავადმყოფობით ისე, როგორც ძუნწი კაცი ოქროთი. არგანი მუდამ თამაშობს. თამაშობს არა მარტო დიალოგების დროს, თამაშობს მაშინაც, როცა სდუმს. ეს თამაში გამოიხატება იმ საგნებისადმი ალერსიანი მოპყრობით, რომლებიც მის ავადმყოფობასთან არის დაკავშირებული. ის არც ერთი წუთით არ უნდა ივიწყებდეს, თუ რა არის მისი „ავადმყოფობისათვის“ რბილი სავარძელი, ან წამლები, ან გერმის ბალიშები, ბეწვმოვლებული ქუდი, მოსასხამი... ყოველივე ამას იგი უნდა ეალერსებოდეს ნაზად, ხელის დასმით, როგორც დიალოგების დროს, ისე დუმილშიც. ა. ყორეოლიანს ხშირად ისიც კი ავიწყდება, რომ მის ფერხთქვეშ ხავერდოვანი ბალიშებია, შიშველ ფეხებს სავარძლის ფეხქვეშ სილრმეში ჰყოფს და უმიზნოდ, ობლად სტოვებს ფეხბალიშებს! ა. ყორეოლიანი ამ ალერსის ატრიბუტებს ვერ ამჩნევს. სამაგიეროდ მაყურებელთა გასაკვირვებლად იგი მინართავს ტრივიალურ